1927 წლიდან

თბილისის უნივერსიტეტი

სტუდენტური ფურცელი

გამარჯვებული სტუდენტური პროექტები

თსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს სხდომაზე პროექტებში გამარჯვებულები გამოავლინეს

6 გვ.

თსუ-ს გუნდმა „საუკეთესო ინიციატივის“ ტიტული მოიპოვა

თსუ-ს სტუდენტებმა ახალგაზრდულ პროექტში – „მე, ოჯახი და სახელმწიფო“ – გაიმარჯვეს. მათი იდეა მალე საქართველოს პარლამენტს წარედგინება

6 გვ.

2025 წლის შემოდგომის სემესტრი ელენემ ბულგარეთში, ქალაქ ველიკო-ტარნოვოში, ველიკო-ტარნოვოს წმინდა კირილეს და მეთოდეს უნივერსიტეტში გაატარა

ელენე ცაცუას წარმატების ფორმულა ბედნიერების შეცნობაა

8 გვ.

gazeti.tsu.ge

გამარჯვებული სტუდენტური პროექტები

6 მარტს თსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი №18/04 ბრძანებით (23.12.2016) შექმნილი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს სხდომა გაიმართა, სადაც 2026 წლის 10 თებერვლის ჩათვლით შემოსული პროექტებიდან გამარჯვებულები გამოვლინდნენ.

სტუდენტურ საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა შემდეგმა პროექტებმა: „დაბალკალორიული კვების როლი Cyb5r3-ის მოდულაციასა და ეპილეფსიის პათოგენეზში“; „საგანმანათლებლო ოლიმპიადა“; „Raggaeon“; „ინტელექტუალური აუქციონი“; „გლუტამატური რეცეპტორების როლი დეპრესიული მდგომარეობის ჩამოყალიბებასა და განვითარების პროცესში“; „კინოკლუბი“; „ენდომენეჯმენტი და იმპლანტი“; „ვარძიის ახალგაზრდა არქეოლოგთა XVII საერთაშორისო კონფერენცია“; „სამეცნიერო კონფერენცია გენდური თერაპია და ნეიროდეგენერაციული დაავადებები“; „თანამედროვე ჰიპ-ჰოპის საღამო“; „საგაზაფხულო ბანაკი – ალპინიადა“; „ბრწყინვალე გონება“; „5 წუთი იურისტებისთვის“; „კარდიოლოგიური დაავადებები“; „ლუდის ქარხანა ბაიო“; „მეცნიერთა გონება“; „შეიმუშავე კანონპროექტი“; „ფიზიკის სტუდენტური კონფერენცია“; „მხატვრული კითხვის კონკურსი“; „BK არხების იზოფორმების როლის შესწავლა პოლიფენოლების ზემოქმედებისას მაღალცხიმოვანი დიეტითა და სტრეპტოზოტოცინით გამოწვეული ღვიძლის პათოლოგიის მოდელში“; „მეგრული სამყარო – ენა, კულტურა, იდენტობა“; „კარლ პოპერის ფორმატის დებატები“; „მუსიკალური ვიქტორინა“; „LIGA TSU“; „დებატები“; „Ludi Iuris“; „სამედიცინო ეთიკა პრაქტიკაში“; „კულტურული ვიქტორინა“; „სტუდენტური მარათონი“; „სპორტული ტრავმები“; „გაზაფხულის სიზმარი“; „სამართლებრივი ლაბირინთი“; „პიროვნების ღირსება vs ეროვნული უსაფრთხოება“; „ქართული სიტყვა – კალიგრაფიის კონკურსი“; „პოდკასტების კონკურსი“; „პერსონალური ინფორმაციის ძალა და მისი დაცვა ციფრულ ეპოქაში“; „ფოტოკონკურსი – წარსულის კვალი“; „თსუ-ს კუპიდონები სიღნაღში“; „Tsu trail run“; „ღრუბლებს შორის გომის მთა“; „City Games“; „ედებატე ისტორიას“; „მკლავჭიდი“; „ფრენბურთი“; „ქართული კულტურის მემკვიდრეობა“; „ფაქტები საუბრობენ“; „სასამართლო და ფილოსოფია სტუდენტები, როგორც ფილოსოფოსები“; „საერთაშორისო სამართლით მოწესრიგებული ქურდობები“; „იმიტირებული პროცესი ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით“; „დარტისის ჩემპიონატი“; „კლასიკური ლიტერატურის ვიქტორინა“; „ფანკლუბი“; „MOVIE MASTERI“; „იდეოლოგთა შერკინება“; „მაგიდის ჩოგბურთის ჩემპიონატი“; „აბასთუმანი – შემეცნებითი თავგადასავალი ბუნებაში“; „საუნივერსიტეტო კიბერჩემპიონატი – ფიჯიტალი + CS2 ჩემპიონატი“; „საქართველო ქვის დუმილი მოგზაურობა დავით გარეჯში“; „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების კონფერენცია“ „ანტიკურობის თანამედროვეობა“.

შეგახსენებთ, რომ პროექტების შეტანა კალენდარული წლის განმავლობაში შესაძლებელია 3 -ჯერ, კერძოდ 10 თებერვლის ჩათვლით, 15 აპრილის ჩათვლით და 10 ოქტომბრის ჩათვლით.

თსუ-ს გუნდმა „საუკეთესო ინიციატივის“ ტიტული მოიპოვა

ნინო ჩარკვიანი

„საუკეთესო ინიციატივის“ ნომინაციაში გამარჯვებულმა თსუ-ს გუნდმა თავისი წინადადება საქართველოს პარლამენტში უნდა წარადგინოს

თსუ-ს სტუდენტებმა ახალგაზრდულ პროექტში – „მე, ოჯახი და სახელმწიფო“ – გაიმარჯვეს. მათმა იდეამ, რომელიც თაობათაშორისი კავშირების გაძლიერებას ისახავს მიზნად, „საუკეთესო ინიციატივის“ ტიტული მოიპოვა და მალე საქართველოს პარლამენტს წარედგინება.

როგორც გამარჯვებული გუნდის წევრები გვიყვებიან, იდეა კონკრეტულ და პრაქტიკულ ნაბიჯებს ეფუძნება: „ჩვენი ინიციატივა ითვალისწინებს კალენდარულად ერთი კონკრეტული დღის დაწესებას „თაობათა სოლიდარობის დღის“ სახელით. ეს იქნება სახელმწიფოს მხარდაჭერით ორგანიზებული პლატფორმა, სადაც განხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები: ხანდაზმულთა მონახულება და მათი გამოცდილების გაზიარება, თაობათა შორის დიალოგის სივრცეების შექმნა სკოლებსა და უნივერსიტეტებში, მენტორული პროგრამები და ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერა. პროექტის მთავარი იდეაა, რომ თაობები არ არსებობდნენ განცალკევებულად და რომ ჩამოყალიბდნენ ურთიერთგამამძლიერებელ სოციალურ სისტემად“.

აღნიშნულ იდეაზე 9-წევრიანი ჯგუფი მუშაობდა მუთი მატარაძის ლიდერობით, რომელიც თსუ-ს სტუდენტი და ბიბლიოთეკის მეგობართა კლუბის ხელმძღვანელია. გუნდის სხვა წევრები იყვნენ: დოქტორანტები თამთა ნაბორაშვილი (თსუ-ს კანცელარიის საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი) და ხათუნა ჩუგოშვილი (თსუ-ს ბიბლიოთეკის შოთა რუსთაველის სამკითხველო დარბაზის ხელმძღვანელი, თსუ-ს ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე და მოწვეული ლექტორი), ასევე სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები ლუკა აფციაური, ნიკოლოზ ყოჩიაშვილი, ნიკა დარსალია, საბა არჩუაძე, საბა ჩიქოვანი და ნინი კვინიკაძე.

ახალგაზრდების თქმით, მათ გუნდში თითოეულმა წევრმა პროექტის იმ ნაწილზე იმუშავა, რა მიმართულებითაც ყველაზე დიდი კომპეტენცია ჰქონდა. „სწორედ ამ თავისუფალმა მიდგომამ, მუდმივმა ინტერაქციამ და გუნდურმა შეკრულობამ მოგვცა შესაძლებლობა, რომ იდეა მაქსიმალურად დაგვეხვეწა და სრულყოფილებამდე მიგვეყვანა“, – გვითხრა მუთი მატარაძემ.

აღსანიშნავია, რომ ამავე პროექტის „საუკეთესო სტუდენტური სტატიის“ ნომინაციაში გამარჯვებაც თსუ-ს დოქტორანტმა თამთა ნაბორაშვილმა მოიპოვა.

ინფორმაციისთვის: პროექტი „მე, ოჯახი, სახელმწიფო“ საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდის ორგანიზებით, ახალგაზრდობის სააგენტოსა და თბილისის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა. მისი მთავარი სლოგანია „ვინახავთ ძველს, ვეძიებთ ახალს“. პროექტში უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ კოლეჯები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, ქართული სათვისტომოები და დიასპორული ორგანიზაციები.

დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარე და პროექტის ორგანიზატორი თამარ ჩიბურდანიძე აღნიშნავს, რომ გასული 4 თვის განმავლობაში საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს 2000-ზე მეტ სტუდენტთან, მათგან 300-მდე მსურველმა საკონკურსო განაცხადი წარადგინა, საბოლოოდ კი 40 საუკეთესო ნამუშევარი შეირჩა. პროექტის ავტორის თქმით, უმთავრესი ამოცანა ეროვნული და თანამედროვე ფასეულობების დაახლოებაა: „პროექტის მიზანია საქართველოს ახალგაზრდობის წინაშე მდგარი კრიტიკული გამოწვევის გადაჭრა, ეროვნული და კულტურული ღირებულებების პოპულარიზაცია და ინტეგრაცია; ასევე, ახალგაზრდების ცნობიერებაში ტრადიციული ღირებულებების სინთეზი თანამედროვე დემოკრატიულ პრინციპებთან, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ჩვენი სახელმწიფოს ეროვნულ, დემოკრატიულ და სუვერენულ განვითარებას“.

„საუკეთესო ინიციატივის“ ნომინაციაში გამარჯვებულმა თსუ-ს გუნდმა თავისი წინადადება საქართველოს პარლამენტში უნდა წარადგინოს. სტუდენტებს სჯერათ, რომ მათი იდეა რეალურ სახელმწიფოებრივ პრაქტიკად იქცევა და დაეხმარება თაობათა სოლიდარობისა თუ დემოგრაფიული მდგრადობის გაძლიერებას.

თსუ-ს სტუდენტებმა სასწავლო კურსის – „ვიზუალური ანთროპოლოგია“ – ფარგლებში მომზადებული ფილმები წარადგინეს

შურთხია ბეროშვილი

19 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ს/ს ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამის „კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია“ მაგისტრანტებმა სასწავლო კურსის – „ვიზუალური ანთროპოლოგია“ – ფარგლებში მომზადებული ფილმები წარადგინეს.

ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის, პროფესორ ქეთევან ხუციშვილის ინფორმაციით, კურსი სტუდენტებს აცნობს ვიზუალური ანთროპოლოგიის ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ მიდგომებს. შემოდგომის სემესტრში კურსს დაემატა პრაქტიკული მეცადინეობები ნინო გელოვანის ხელმძღვანელობით, სადაც სტუდენტებმა შეისწავლეს ფილმის გადაღების ტექნიკა და იმუშავეს ინდივიდუალურ პროექტებზე.

სტუდენტებმა დაამუშავეს მათთვის საინტერესო ეთნოგრაფიული საკითხები და, ამასთან, გამოიყენეს კინო-ენა მათ გადმოსაცემად. „უნდა ითქვას, რომ ნინო გელოვანმა დიდი შრომა გასწია და შედეგიც სახეზეა. მომავალმა ეთნოლოგ-ანთროპოლოგებმა თავიანთ მეთოდოლოგიურ არსენალს კიდევ ერთი ხერხი – ფილმის გადაღების ტექნიკა მიუმატეს. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვეობაში, როდესაც ინფორმაციის ვიზუალიზაცია გადამწყვეტი ხდება მისი შენახვა-გავრცელების გზაზე. სტუდენტები ამ ახალი უნარებით უფრო მეტად იქნებიან კონკურენტულნი თანამედროვე სამეცნიერო სივრცეში. პირველმა მცდელობამ გაამართლა და ვგეგმავთ კვლავ გავაგრძელოთ თანამშრომლობა ნინო გელოვანთან“, – ამბობს ქეთევან ხუციშვილი.

ნინო გელოვანის ინფორმაციით, კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიიის პროგრამის მაგისტრებს საგნის – ვიზუალური ანთროპოლოგიის – ფარგლებში საგამოცდოდ მიეცათ დავალება – შეექმნათ მოკლემეტრაჟიანი კვლევითი ფილმები, რათა თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გამოცდილებად ექციათ.

„ხშირად ამბობენ, რომ კვლევა მხოლოდ დაგეგმილ მეთოდებს უნდა ეფუძნებოდეს, მაგრამ აქ, პირიქით, მთავარი იყო აქცენტი გაკეთებულიყო აღქმასა და გრძნობაზე... სტუდენტებისთვის კამერა კვლევის ინსტრუმენტი გახდა. ეს გამოცდილება აერთიანებს კვლევას და პრაქტიკას და მიზნად ისახავს არა მხოლოდ ტექნიკური უნარების განვითარებას, არამედ ეთნოგრაფიული ხედვის, დაკვირვების კულტურისა და სოციალური რეალობის კრიტიკული გააზრების ჩამოყალიბებას. სტუდენტებმა ვიზუალური გამოსახულების საშუალებით შეისწავლეს ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა კულტურული პრაქტიკა და შეძლებისდაგვარად შექმნეს საავტორო ნამუშევრები, სადაც ერთმანეთში იკვეთება კვლევის სტრუქტურირებული პროცესი და პირადი ხედვა. ჩემი მიზანი იყო, სტუდენტებს დავხმარებოდი საკუთარი ხედვის უკეთ წარმოსაჩენად, მეჩვენებინა, რომ კვლევა არა მხოლოდ მონაცემთა შეგროვებაა, არამედ სამყაროს სიღრმისეული დანახვისა და გაგების პროცესიც. მადლობა ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტს მხარდაჭერისთვის და ჩემს მაგისტრ სტუდენტებს, რომლებმაც ამოცანა შეძლებისდაგვარად ღირსეულად და დიდი მონდომებით შეასრულეს. მათი

ქეთევან ხუციშვილი

პასუხისმგებლობის, ინტერესისა და შემოქმედებითი ძალისხმევის გარეშე თეორიისა და პრაქტიკის სინთეზი ვერ იქნებოდა შესაძლებელი. ასევე დიდი მადლობა ყველას, ვინც აქტიურად იყო ჩვენი პროცესის ნაწილი“, – ამბობს ნინო გელოვანი.

პრეზენტაციაზე კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტებმა წარმოადგინეს თავიანთი ფილმები: ანამარია ფანგანმა – „საგვარეულო ტრადიცია ბეჩოს თემში“; ირა გელაძემ და თამთა ჭაღალიძემ -“ტრადიცია და ცოდნა, რომელმაც დროს გაუძლო“, სალომე ღონღაძემ -“დარბაზული სახლი“ და ალექსანდრე სულაძემ – „ფასანაური – გზა ლუბლიანადან თბილისამდე“.

„სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის მაგისტრატურის მიმართულება არაერთ შესაძლებლობას გვთავაზობს სტუდენტებს, რათა მაქსიმალურად წარმოვაჩინოთ ჩვენი პოტენციალი და უნარები. ერთ-ერთი საგნის – ვიზუალური ანთროპოლოგიის – ფარგლებში სტუდენტებს მოგვეცა საშუალება, გვემუშავა დოკუმენტური ჟანრის ფილმზე. ჩემი მიზანი იყო მეკვლია „საგვარეულო ტრადიცია ბეჩოს თემში“, რომლის შესახებაც არანაირი მატერიალური წყარო არ გაგვაჩნია. შეგროვებული მასალის დამუშავებასა და მონტაჟში მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაგვიწია ბატონმა ოთარ კაკაურიძემ და სწორედ ამ დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ მას. ფილმის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს ჩვენმა ხელმძღვანელებმა, თსუს ასოცირებულმა პროფესორმა, ქალბატონ ქეთევან ხუციშვილმა და ქალბატონმა ნინო გელოვანმა და მადლიერი ვართ გაწეული მხარდაჭერის, რჩევებისა და დახმარებისთვის“, – აღნიშნავს ანამარია ფანგანი.

ვიზუალური ანთროპოლოგიის საგნის ფარგლებში ირა გელაძე და თამთა ჭაღალიძე მუშაობდნენ ფილმზე „ტრადიცია და ცოდნა, რომელმაც დროს გაუძლო”. მათი ინფორმაციით, საქართველოს მხარეთა ბუნებრივი და კლიმატური განსხვავებები, რომელიც გეოგრაფიული მდებარეობით არის გამოწვეული, სხვადასხვაგვარ საცხოვრებელ გარემო პირობებს ქმნიდა ადამიანებისთვის. შესაბამისად, სხვადასხვა მხარესა და კუთხეში განსხვავებული ტიპისა და მასალის, დამზადების ტექნიკის მქონე სახლები გვხვდება. თემის აქტიურ

როგორც სტუდენტები აცხადებენ, ვიზუალური ანთროპოლოგიის საგანი განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა, რადგან თეორიული ანალიზი პრაქტიკულ შემოქმედებით ნაწილში გადაიზარდა და სახეზე გვაქვს მცირე კვლევითი ნამუშევრები ფილმის სახით

ალობიდან გამომდინარე, მათი მიზანი იყო შეესწავლათ აჭარის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლები და დამხმარე ნაგებობები, მათი ტიპები, დამზადების ტექნიკები, მასალები, ის ისტორიული, ეკოლოგიური და კულტურული ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობების მშენებლობას. გარდა ამისა, მათი თქმით, მნიშვნელოვანი იყო ამ მასალის დაკავშირება თანამედროვეობასთან. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა წყაროთმცოდნეობითი ანალიზი, ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ, დაკვირვება და საარქივო მასალების ანალიზი. ფილმის შინაარსი წარმოდგენილია როგორც ვიზუალური მასალით, ასევე თემის ირგვლივ არსებული ცოდნის გაზიარებით. ვიზუალიზაციისთვის გამოყენებულია როგორც საარქივო მასალა, ასევე ეთნოგრაფიულ მუზეუმში არსებული სახლი და დამხმარე ნაგებობები.

როგორც სტუდენტები აცხადებენ, ვიზუალური ანთროპოლოგიის საგანი განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა, რადგან თეორიული ანალიზი პრაქტიკულ შემოქმედებით ნაწილში გადაიზარდა და სახეზე გვაქვს მცირე კვლევითი ნამუშევრები ფილმის სახით. ამ პროცესებმა დაგვანახა, თუ როგორ შეიძლება კვლევითი პერსპექტივა ვიზუალურ ენაზე გადავიტანოთ.

თავისი შთაბეჭდილება გაგვიზიარა თსუ-ს კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტმა სალომე ღონღაძემაც.

„ვიზუალური ანთროპოლოგიის საგნის ფარგლებში ვმუშაობდი სიუჟეტზე – „დარბაზული სახლი“. ჩემი მიზანი იყო მეჩვენებინა, რომ დარბაზი მხოლოდ საცხოვრებელი სივრცე არ ყოფილა – იგი ქართული ყოფის, ოჯახის ერთობისა და კულტურული მეხსიერების ნაწილია. გვირგვინიანი კონსტრუქცია, შუაში გამართული კერა და მის გარშემო ორგანიზებული სივრცე ასახავს სამყაროს ტრადიციულ აღქმას, სადაც ოჯახი ერთ მთლიანობად აღიქმება. დარბაზული სახლის ჩვენებით მსურდა გამოკვეთილად წარმოჩენილიყო მისი არქიტექტურული და სიმბოლური მნიშვნელობა. სიუჟეტის მიზანი იყო, ასევე, დამენახებინა დარბაზული სახლის რეგიონული მრავალფეროვნება; მეჩვენებინა – როგორ აისახა საცხოვრებლის ფორმაში სოციალური სტრუქტურა და მეურნეობის დარგები. სიუჟეტში ნაჩვენებია მარჯანიძეების დარბაზული სახლი, რომელიც საჭიროებს რეკოსტრუქციას. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო მეჩვენებინა, რომ დარბაზული სახლი მხოლოდ ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ექსპონატი არ არის; ეს არქიტექტურული მემკვიდრეობა დღესაც არსებობს კონკრეტულ რეგიონებსა და სოფლებში, რომელსაც მოვლა და აღდგენა სჭირდება. ამ ნამუშევრით შევეცადე დამეკავშირებინა მატერიალური კულტურა და ანთროპოლოგიური ხედვა – მეჩვენებინა, როგორ შეიძლება ერთმა სახლმა გვიამბოს ოჯახის წყობაზე, რწმენაზე, გარემოსთან შეგუებაზე და იმ ისტორიულ პროცესებზე, რომლებმაც საბოლოოდ მისი ტრანსფორმაცია გამოიწვია.

ნამუშევრის განხილვის პროცესი წარიმართა როგორც თვითრეფლექსიის, ასევე კრიტიკული ანალიზის ფორმატში. აღსანიშნავია ლექტორთა ჩართულობა, მათი შენიშვნები და მხარდაჭერა, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა სიუჟეტის საბოლოო ვერსიის დახვეწასა და სრულყოფაზე. ვიზუალური ანთროპოლოგიის კურსი გამორჩეულად საინტერესო აღმოჩნდა, რადგან თეორიული საკითხების გააზრება პრაქტიკულ შემოქმედებით საქმიანობას დაუკავშირდა“, – ამბობს სალომე ღონღაძე.

ელენე ცაცუას წარმატების ფორმულა ბედნიერების შეცნობაა

შურთხია ბეროშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების დოქტორანტი ელენე ცაცუა გვიზიარებს თავის გამოცდილებას – თუ როგორ შეძლო გაცვლითი პროგრამით სარგებლობა, რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული კონკურსის გავლა და როგორ მიაღწია სასურველ შედეგს.

2025 წლის შემოდგომის სემესტრი ელენემ ბულგარეთში, ქალაქ ველიკო-ტარნოვოში, ველიკო-ტარნოვოს წმინდა კირილეს და მეთოდეს უნივერსიტეტში გაატარა. თავის შთაბეჭდილებებს ელენე თამამად გვიზიარებს. „შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესო ერთი სემესტრი გავატარე ბულგარეთში, ქალაქ ველიკო-ტარნოვოში, სადაც შევიძინე მართლაც სასარგებლო გამოცდილება, რაც, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც გამომადგება ჩემს ქვეყანაში. უპირველესად, სხვა გარემოში ცხოვრება ყოველთვის არის გამოცდილება, როცა თავად პოზიტიური მიზნებით და გეგმებით ჩადიხარ უცხო ქვეყანაში. ყოველი დღე პროდუქტიული იყო ჩემთვის. ვცდილობდი, სადოქტოროზე მუშაობის პარალელურად ბევრი სხვა რამ მეკეთებინა, როგორებიცაა: საუნივერსიტეტო საგნების არჩევა და სწავლა (რაც არ იყო სავალდებულო ჩემთვის, რადგან

დოქტორანტი ვიყავი), კულტურის და ტრადიციების გაზიარება საერთაშორისო სტუდენტებისთვის, ვორქშოპების ჩატარება და მოგზაურობა“.

ელენე ასევე დაინტერესდა ბულგარეთის ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების შესწავლით. მან გაიარა საინტერესო საგნები, როგორებიცაა: ჰუმანური განათლება, ევრო ინტეგრაციის ისტორია, კულტურათშორისი კომპეტენციები, ბულგარეთის ისტორია, ბულგარეთის ხელოვნება და კულტურა. „სხვათა შორის, ბევრი განსხვავება და მსგავსება გვაქვს ბულგარელებსა და ქართველებს, მაგალითად, სტუმართმოყვარეობა, ტრადიციების და სარწმუნოების სიყვარული... მინდა განსაკუთრებით ველიკო-ტარნოვოს უნივერსიტეტის ლექტორები გავიხსენო, რომლებსაც ძალიან უყვართ საქართველო და პატივს სცემენ ჩვენს კულტურას. ერთმა ლექტორმა თავისი ინიციატივით ბაჩკოვოს (პეტრიწონის) მონასტერშიც კი წამიყვანა, იმისთვის, რომ უბრალოდ გავეხარებინე, რადგან ეს ის ადგილია, სადაც ყველა ქართველი ადამიანი სიამაყით მივა. ძალიან გამიმართლა, როცა მონასტერში ჩასულს ქართულ-ბულგარულ ენებზე დამხვდა წირვა-ლოცვა. ეს იყო საოცარი განცდა, რომელსაც ენით ვერ აღწერ. თან მაშინ, როცა ძალიან გენატრება შენი სამშობლო და შენი ახლობლები, უცებ გესმის ღვთისმსახურება ქართულ ენაზე. არასდროს დამავიწყდება ის დიდებული დღე“, – ამბობს ელენე. სწავლასთან ერთად ელენემ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშიც იმოგზაურა, მოინახულა ბულგარეთის რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქი და ადგილები.

ელენე თვლის, რომ მის წარმატებაში თსუ-ს მაინც გადამწყვეტი როლი აქვს. „ფაქტობრივად, რასაც წარმოვადგენ, ჩემი შრომის, მონდომებისა და თსუ-ს დამსახურებაა. სადოქტოროზე სწავლის დროს დავრწმუნდი, რომ თსუ-ში პროგრამები კარგად არის ორგანიზებული. ჩემი აზრით, სტუდენტზეა ორი-

ენტირებული ყველა სერვისი თუ სივრცე. თსუ-მ მომცა შესაძლებლობა, რომ 2025 წლის შემოდგომის სემესტრში ჩემი სადოქტორო ნაშრომის ერთი ნაწილი ველიკო-ტარნოვოს უნივერსიტეტში დამესრულებინა მინიმალური სტრესის ფონზე. დიდი სურვილი მაქვს, უფრო მეტ სტუდენტს მიეცეს ამის შესაძლებლობა მომავალში და გაგრძელდეს ახლო თანამშრომლობა ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტთან. საქართველოსნაირი მსგავსი პატარა ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ერაზმუსის პროგრამის არსებობა, რადგან ამ გზით ჩვენი ახალგაზრდობის თვალსაწიერი და ხედვის მასშტაბები იზრდება. ჩემი წამოსვლის შემდეგ კიდევ ოთხმა ქართველმა სტუდენტმა მოახერხა ველიკო-ტარნოვოს უნივერსიტეტში სწავლა. მათ საჭირო ნივთები დავუტოვე პატარა წერილთან ერთად, რათა გაადვილებოდათ უცხო ქვეყანაში ჩასვლის პირველ დღეები“, – ამბობს ელენე.

ელენე ცაცუას თავისი წარმატების პატარა „საიდუმლოც“ აქვს: „ხშირად ვისმენთ – წარმატებისთვის იღბალი გჭირდებაო. შესაბამისად, ადამიანები უცდიან, როდის გამოჩნდება ხელსაყრელი მომენტი, როცა გაუღიმებთ იღბალი და მიაღწევენ წარმატებას. ჩემს ცხოვრებაში ეს „პრეზუმფცია“ არ ამართლებს. მე სხვა ცხოვრებისეული გამოცდილება მაქვს. ჩემთვის წარმატების საიდუმლო ეფუძნება ბედნიერებისკენ სწრაფვას, რაშიც ვგულისხმობ დაუღალავ შრომას და მონდომებას – სამყარო გახადო უკეთესი, პოზიტიური გავლენა მოახდინო შენს ირგვლივ მყოფებზე და ასევე გზა გაუკვალო უმცროს თაობას. სამეცნიერო კვლევებზე მუშაობაც სწორედ ამის ნაწილია. ჩემი სადისერტაციო ნაშრომის თემა და საკვლევი მიზნები ისე შევარჩიე, რომ მხოლოდ ფურცელზე დაწერილი არ აღმოჩნდეს საბოლოო ჯამში, რომელსაც მხოლოდ სამი თუ ოთხი ადამიანი წაიკითხავს. ძალიან ვეცადე, რომ დისერტაციაზე მუშაობა ნაკლებად სტრესული ყოფილიყო. დამღლელი შრომის მიუხედავად, ვიგრძენი შედეგებით გამოწვეული სიხარული და ბედნიერება. ჩემთვის ნამდვილი წარმატება მოაქვს საქმის სიყვარულს, გულწრფელობას და სხვისთვის ცოდნის გაზიარების სურვილს. წარმატება და ბედნიერება თანაარსებობენ. ბედნიერება სხვასაც გადაეცემა და მრავლდება. სწორედ ამ მიზნით ქალაქ გორნა ორიაჰოვიცაში ერთ-ერთი საჯარო სკოლის მე-10 კლასში ჩავატარე ვორქშოპი თემაზე: როგორ შევცვალოთ გარემო უკეთესობისკენ. მოსწავლეებს გავაცანი ის სტრატეგიები, რომლებიც გვეხმარება გავხდეთ ლიდერები და პოზიტიური გავლენა მოვახდინოთ გარემოზე. ჩემდა გასაოცრად მოხდა ისე, რომ ამ შეხვედრის შესახებ სტატია დაბეჭდეს ბულგარეთის საგანმანათლებლო ონლაინ გაზეთში.

ჩემთვის წარმატებაა, როცა სხვა ქვეყანაში მიღებულ გამოცდილებას, რომელმაც გამზარდა პიროვნულად და პროფესიული კუთხით, საქართველოში გამოვიყენებ, ანუ, გამოვადგები ჩემს უნივერსიტეტს, სტუდენტებს და ჩემს სამშობლოს“.

ნინო ახვლედიანმა ერთი სასწავლო სემესტრი სლოვაკეთში გაატარა

ნინო ჩარკვიანი

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტმა ნინო ახვლედიანმა გაცვლითი პროგრამით ერთი სემესტრი სლოვაკეთში გაატარა. ბრატისლავის კომენიუსის უნივერსიტეტში სწავლის დროს ევროპულმა სტუდენტურმა ცხოვრებამ, საერთო საცხოვრებელში შეძენილმა მეგობრებმა და სრულიად ახალმა აკადემიურმა გარემომ ნინოს პიროვნულ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ნინო ახვლედიანი სლოვაკეთში გატარებულ პერიოდს თავის ცხოვრებაში ყველაზე საინტერესო და შთამბეჭდავ ხუთ თვეს უწოდებს. იგი განსაკუთრებით თბილად იხსენებს ადგილობრივებს და ევროპაში გატარებულ შობას, როდესაც „ყველაფერი განსაკუთრებულად მაგიური ხდება“. თუმცა, მისი თქმით, მთავარი მაინც ადამიანები და მათთან ერთად გავლილი თავგადასავლებია.

„საერთო საცხოვრებელში შენი მეზობლები შენთვის ძვირფასი ადამიანები ხდებიან და როგორც ოჯახის წევრებთან, ისე სვამ მათთანაც ჩაის ყოველ საღამოს. მყავდა საუკეთესო

მეგობრებიც, დიდი ოთხეული ვიყავით და სხვადასხვა თავგადასავლებიც გამოვიარეთ ერთად. ყველაზე მეტად ვიოსთან, დიმასთან და არტურთან განშორება გამიჭირდა სამშობლოში დაბრუნებისას“, – იხსენებს სტუდენტი ჩვენთან საუბარში.

ნინო ახვლედიანისთვის ყველაზე გამორჩეული მოგონება სლოვაკეთში ტატრების მთების დალაშქვრაა, რაც მისთვის ევერესტის „დაპრყრობას“ ჰგავდა. ამის გარდა, სტუდენტმა რამდენიმე ევროპული ქალაქის დათვალიერებაც მოასწრო და სხვადასხვა ღირსშესანიშნაობა თუ მუზეუმი მოინახულა.

რაც შეეხება აკადემიურ გამოცდილებაზე საუბარს, ნინო მიიჩნევს, რომ თსუ არაფერით ჩამორჩება იმ უცხოურ უნივერსიტეტს, სადაც ერთი სემესტრი ისწავლა. როგორც თავად ამბობს, მშობლიურმა უნივერსიტეტმა ინგლისურენოვან ლიტერატურაზე სამუშაოდ კარგად მოამზადა, თუმცა, ბრატისლავაში სწავლების მეთოდოლოგია პრაქტიკაზე უფრო ორიენტირებული აღმოჩნდა: „ხშირად მქონდა სიმულაციები, დებატები და სამიტების სტილის სემინარები, რაც ძალიან ბევრ უნარს ავითარებს და თან სახალისოა. კომენიუსის უნივერსიტეტში პროფესორები ძალიან თავისუფლად ეკიდებიან შეცდომებს. მიაჩნიათ, რომ ეს აუცილებელია – ბევრს გაკვირდებიან, რათა შენივე შეცდომებზე უკეთ გასწავლონ. ლიტერატურის კარგად ცოდნა არ არის საკმარისი, აზროვნების უნარი აუცილებელია. რაც არ უნდა კარგად იყო მომზადებული, ყოველთვის დაგისვამენ კითხვას, რომელიც საკითხს სხვა პერსპექტივით შეგახედებს“.

როგორც ნინო ამბობს, გაცვლითი პროგრამების კონკურსში გამარჯვებამ „დააგვირგვინა“ მისი წლების განმავლობაში გაწეული შრომა. სკოლის მედლით დასრულების შემდეგ მან ეროვნულ გამოცდებზე ქვეყნის საუკეთესო ასეულში მოხვედრა შეძლო, რის შედეგადაც 100%-იანი გრანტითა და „გალფის“ სტიპენდიით ჩაირიცხა უნივერსიტეტში. საკუთარ წარმატებას იგი დედას უკავშირებს და ასევე ხაზს უსვამს მისი გეოგრაფიის მასწავლებლის, მანანა უტიაშვილის როლს, რომელმაც მას არა მხოლოდ საგანი შეაყვარა, არამედ ცხოვრების სირთულეებთან გამკლავებაც ასწავლა. სტუდენტი ყოველთვის პოულობს დროს საქველმოქმედო და საგანმანათლებლო პროექტებისთვის.

საგულისხმოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნინო ახვლედიანისთვის მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის. „თსუ ჩემი იდენტობის დიდი ნაწილია. გარდა იმისა, რომ ჩემი სფეროს საუკეთესო წარმომადგენლები მიკითხავენ ლექციებს, ვიღებ ბევრ ცხოვრებისეულ გაკვეთილს და პიროვნულად ვვითარდები; ასევე, გავიუმჯობესე დისციპლინა, მონაწილეობა მივიღე საინტერესო საგანმანათლებლო პროექტებში და დავამყარე კონტაქტები ბევრ ინტელექტუალ ადამიანთან. თსუ-ს სტუდენტობა ნიშნავს – იყო ისტორიის ნაწილი... ჩემი უნივერსიტეტით ვამაყობ“, – აღნიშნავს ნინო ახვლედიანი.

ანა ცინცაძე: „ჩემი უნივერსიტეტი არანაირად არ ჩამოუვარდება იქაურს“

ნინო ჩარკვიანი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა ანა ცინცაძემ ერთი სემესტრი ესპანეთში გაატარა. ინგლისური და ფრანგული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტი სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით სწავლობდა და სამშობლოში საინტერესო გამოცდილებით დაბრუნდა.

როგორც თავად ამბობს, ეს პერიოდი მის ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. საზღვარგარეთ დამოუკიდებლად ცხოვრებამ მას საკუთარი შესაძლებლობების უკეთ დანახვისა და პიროვნული განვითარების საშუალება მისცა. „ჩემი ყველაზე დიდი წარმატება სწორედ საკუთარი კომფორტის ზონიდან გამოსვლა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება იყო. ეს იყო ჩემი ქვეყნის დატოვება და სრულიად მარტო ახალი ცხოვრების დაწყება. ვისწავლე პასუხისმგებლობის აღება და გავიზარდე როგორც პიროვნულად, ისე აკადემიურად. იქ ძალიან ბევრი ადამიანი გავიცანი, რომლებთან გატარებული დროც საუკეთესო მოგონებებად დარჩება. გარდა ამისა, გავეცანი ახალ კულტურას, ავითვისე ესპანური ტრადიციები და ენა, ვიმოგზაურე მთელი ქვეყნის მასშტაბით და ძალიან მადლიერი ვარ, რომ მომეცა ამ ულამაზესი ქვეყნის ასე ახლოდან შეცნობის შესაძლებლობა“, – ამბობს სტუდენტი.

ანას თქმით, ევროპაში სწავლა ყოველთვის იყო მისი მიზანიც და ოცნებაც, თუმცა გაცვლითი პროგრამის კონკურსში მონაწილეობა სპონტანურად გადაწყვიტა და საბუთების შეგროვება დაიწყო: „დოკუმენტების მოძიება და მომზადება შრომასა და დიდ დროს მოითხოვს. იმდენად გაურკვეველი ვიყავი ამ საკითხში, რომ თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს რჩევებისთვის ხშირად ვაკითხავდი, რაც ძალიან დამეხმარა და ყველას ვურჩევ – გაიარონ მათთან კონსულტაცია. შემდეგი ეტაპი ინგლისურენოვანი ინტერვიუ იყო, საბოლოოდ კი – უნივერსიტეტისგან მიღების მეილი, რამაც ჩემს შემთხვევაში ძალიან დააგვიანა. იმედი უკვე გადაწურული მქონდა, თუმცა ბოლო კანდიდატად ამირჩიეს და მივიღე მოწვევის წერილი. ასე რომ, არასდროს დაკარგოთ რწმენა იმისა, რომ ყველაფერი გამოგივათ“! – იხსენებს ანა.

რაც შეეხება სასწავლო პროცესს, სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტში სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა თსუ-სგან განსხვავებული აღმოჩნდა. ახალ გარემოსთან შესაგუებლად ანას გარკვეული დრო დასჭირდა. „ყურადღება გასამახვილებელია იმ ფაქტზე, რომ თსუ-ში საკითხები უფრო თეორიულად ისწავლება, ესპანეთში კი პრაქტიკას ანიჭებენ უპირატესობას. ხშირ შემთხვევაში გიწევს იაზროვნო და პრაქტიკულად გააკეთო სავარჯიშოები, ბევრია ქვიზები და ტესტები. ასევე, იქ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ლექციებზე დასწრებასა და ფინალურ გამოცდას. მიუხედავად ამისა, ესპანეთში სწავლისას მივხვდი, რომ თსუ-მ მასწავლა იმაზე მეტი, ვიდრე წარმომედგინა. ნათელი გახდა, რომ ჩემი უნივერსიტეტი არანაირად არ ჩამოუვარდება იქაურს და მეტიც – ზოგ საკითხში უკეთესი სწავლების მეთოდიკა, სასწავლო გარემო და პროგრამა აქვს. უნივერსიტეტმა მომცა შანსი, რომ სხვა ქვეყანაში გამომეცადა ცხოვრება და განათლების მხრივ სრულად შემამზადა ამისთვის“, – აღნიშნავს ანა ცინცაძე.

ანა მიიჩნევს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. მისი მიზანია, კვლავ მიიღოს მონაწილეობა მსგავს საინტერესო და მრავალისმომცემ პროექტებში, ხოლო წარმატების ისტორიის მთავარ გაგრძელებად იქ მიღებული ცოდნის საკუთარ ქვეყანაში გამოყენება მიაჩნია.

ელენე ფარულავას მიზანია ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული ქვეყნის განვითარებაში მიიღოს მონაწილეობა

ნინო ჩარკვიანი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტმა, ელენე ფარულავამ, ბაკალავრიატის საფეხურზევე შეძლო ევროპული განათლების მიღება. მან ერთი სემესტრი ფინეთში, ჰელსინკის უნივერსიტეტში გაატარა, სადაც საინტერესო აკადემიურ კულტურასა და სწავლების მეთოდებს გაეცნო.

ელენესთვის გაცვლით პროგრამაში მოხვედრა ხანგრძლივი და მიზანმიმართული შრომის შედეგი იყო. როგორც თავად აღნიშნავს, თსუ-ში არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში მხოლოდ სურვილი საკმარისი არ არის. საჭიროა მაღალი აკადემიური მოსწრება და საკუთარი მიზნების მკაფიოდ ჩამოყალიბება. „ვფიქრობ, მოტივაცია არის ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც ყველაზე მეტად გეხმარება მიზნისკენ თანმიმდევრულ სვლაში. განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია გასაუბრების ეტაპი, სადაც არა მხოლოდ აკადემიური მონაცემები, არამედ პიროვნული უნარებიც ფასდება. კონკურსის პროცესმა მასწავლა მოთმინება და საკუთარი თავის რწმენა“, – იხსენებს ელენე.

როგორც თავად ამბობს, ჰელსინკის უნივერსიტეტში გატარებულმა პერიოდმა მას პროფესიულ ცოდნასთან ერთად ცხოვრებისეული გამოცდილებაც შესძინა. სტუდენტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იქაური სწავლების მეთოდიკაზე, რომელიც კვლევით მუშაობასა და პრაქტიკულ კომპონენტებზეა ორიენტირებული. „ჰელსინკში შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია: პრეზენტაციები, კვლევითი ნაშრომები და მიმდინარე აქტივობები

> **„მიუხედავად სწავლების მეთოდებში არსებული განსხვავებისა, სტუდენტი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო გარემოში თავის დამკვიდრებაში მას თსუ დაეხმარა. მისი თქმით, თსუ-ში გამომუშავებული პასუხისმგებლობის გრძნობა, კრიტიკული აზროვნება და მყარი თეორიული ბაზისი აუცილებელი აღმოჩნდა უცხოურ გარემოსთან ადაპტაციისთვის.“**

ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ტრადიციული გამოცდა. იქ სწავლება უფრო მეტად პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებისკენ არის მიმართული“, – ამბობს ელენე და ასევე ხაზს უსვამს ლექტორებთან უშუალო და სწრაფი კომუნიკაციის მნიშვნელობას.

მიუხედავად სწავლების მეთოდებში არსებული განსხვავებისა, სტუდენტი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო გარემოში თავის დამკვიდრებაში მას თსუ დაეხმარა. მისი თქმით, თსუ-ში გამომუშავებული პასუხისმგებლობის გრძნობა, კრიტიკული აზროვნება და მყარი თეორიული ბაზისი აუცილებელი აღმოჩნდა უცხოურ გარემოსთან ადაპტაციისთვის.

„ჩემთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია საზღვარგარეთ დაგროვებული ცოდნისა და უნარების საქართველოში გამოყენება, რათა ჩემი წვლილი შევიტანო ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული ქვეყნის განვითარებაში“, – აცხადებს ელენე ფარულავა.

დავით მხეიძის ღირებული მოგონებები ლუქსემბურგში სწავლის პერიოდზე

შერთხია ბეროშვილი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი დავით მხეიძე გაცვლითი პროგრამით ლუქსემბურგში, ლუქსემბურგის უნივერსიტეტში იმყოფებოდა, სადაც ევროპული მმართველობის პროგრამაზე სწავლობდა და სამშობლოში შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბრუნდა.

„საზღვარგარეთ ერთი სემესტრით სწავლამ მართლაც უზარმაზარი გამოცდილება შემძინა. ეს პერიოდი იმითაც იყო გამორჩეული, რომ გავხდი უფრო მეტად თავდაჯერებული და დამოუკიდებელი. როდესაც, სრულიად მარტოს, უცხო გარემოში გიწევს საცხოვრებლად რამდენიმე თვით გადასვლა და უამრავ სირთულეს ხვდები, ამ დროს გრძნობ, რომ აკადემიური გამოწვევები

რეალურად არაფერი არ არის ყოველდღიურ სირთულეებთან შედარებით, რომლებსაც მარტო უნდა გაუმკლავდე. ლუქსემბურგში არაერთი ძალიან კარგი მეგობარი შევიძინე სხვადასხვა ქვეყნიდან, საშუალება მომეცა უკეთესად გამეცნო სხვადასხვა კულტურა და დასავლეთ ევროპული უნივერსიტეტის სპეციფიკა. ამ გამოცდილებამ, ასევე, მომცა შესაძლებლობა – მემოგზაურა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში და მენახა ლუქსემბურგის გარდა კიდევ ხუთი სახელმწიფო, რაც, დარწმუნებული ვარ, რომ ცხოვრების ბოლომდე ძალიან ღირებულ მოგონებად გამყვება“, – ამბობს დავითი.

რაც შეეხება თსუ-ში სწავლას, დავით მხეიძისთვის ეს ის ადგილია, სადაც სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აიმაღლოს სწავლის დონე, გამოიმუშაოს დისციპლინა და გახდეს კარგი პროფესიონალი. „თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში გატარებული ექვსი წელი ძალიან ნაყოფიერი იყო ჩემთვის. დღეს ვთვლი, რომ სწორედ აქ მიღებული განათლების წყალობით ვარ საკმაოდ მაღალკვალიფიციური კადრი როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, ისე ევროპისმცოდნეობის, რის გამოც თითოეულ პროფესორ-მასწავლებელს ვუხდი მადლობას. მათ გარჯას შეძლებისდაგვარად ყოველთვის დავაფასებ საკუთარი ცოდნის წარმოჩენით“, – აღნიშნავს მადლიერი სტუდენტი.

სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, ბაკალავრიატი კი – წითელ დიპლომზე. როგორც დავითი ამბობს, ამ ყველაფრის უკან უამრავი გათენებული ღამე თუ გადატანილი ნერვიულობა დგას: „ბაკალავრიატში სწავლის დროს გახლდით სახელმწიფოს რამდენიმეგზის სტიპენდიატი, ამჯერად კი გახლავართ თბილისის მერიის სტიპენდიის მფლობელი. სკოლის მოსწავლეობიდან მოყოლებული ვცდილობდი ნებისმიერი შესაძლებლობა ცოდნის გასაღრმავებლად გამომეყენებინა, რაც საკმაოდ დამღლელი, თუმცა, ამასთანავე, სასიამოვნო იყო. ამ ყველაფრის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა ოჯახის წევრებისა თუ მეგობრების გარეშე, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში მამხნევებენ დღემდე და იზიარებენ ჩემს ყოველ სიხარულსა თუ იმედგაცრუებას“.

ვენეციაში სწავლისას ლუკა ფადიურაშვილის მიერ გადაღებული ფილმის წარმატებული ისტორია

ნინო ჩარკვიანი

„ბებიის უკანასკნელი სურვილი“ – ასე ჰქვია მოკლემეტრაჟიან ფილმს, რომელიც ახალგაზრდა რეჟისორმა ლუკა ფადიურაშვილმა ვენეციაში გადაიღო. თსუ-ში მაგისტრატურაზე სწავლისას ლუკამ გაცვლითი პროგრამების კონკურსში გაიმარჯვა და იტალიურ ქალაქში „Erasmus +“-ის პროგრამით გაემგზავრა. ფილმის გადაღების იდეაც სწორედ ვენეციაში, კა'ფოსკარის უნივერსიტეტში სწავლისას გაუჩნდა. დღეს იგი უკვე თსუ-ს კურსდამთავრებულია და თავის გამოცდილებაზე გვიყვება.

ლუკა ფადიურაშვილმა თსუ-ში კულტურის კვლევების მიმართულებით ბაკალავრიატი 2021 წელს დაამთავრა, შემდეგ კი მაგისტრატურის საფეხურზე სწავლა კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის განხრით განაგრძო. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული არჩევანი ჯერ კიდევ 12 წლის ასაკში გააკეთა და რეჟისორობა სურდა, გადაწყვიტა, მხოლოდ კინოხელოვნების შესწავლით არ შემოფარგლულიყო. მისი მიზანი სხვა დისციპლინების სწავლა და მათი კინოში „ინტეგრირება“ იყო.

„სულ მინდოდა, ცოდნა კულტურისა და ლიტერატურის მიმართულებით გამეღრმავებინა და ეს სფეროები ჩემი შემოქმედების შთაგონების წყაროდ მექცია. კულტურის კვლევები, რომლებიც სოციოლოგიას, ეთნოლოგიას, ანთროპოლოგიასა და მეხსიერების კვლევებს აერთიანებს, ინტერდისციპლინური ბუნებისაა. თსუ-ში სწავლისას აღმოვაჩინე ვიზუალური ანთროპოლოგია და მივხვდი, რომ განვითარება ამ კუთხით შემეძლო“, – ამბობს ლუკა.

ჩვენი რესპონდენტი ვენეციას მუზეუმს ადარებს – ქალაქს, რომელიც ადამიანს „თითოეული წამის დაფიქსირებისკენ“ უბიძგებს. ფილმის შექმნის ისტორიაც ერთი შემთხვევითი შეხვედრით დაიწყო. ვენეციის ჩინური კინოს ფესტივალზე მან მალაიზიელი სტუდენტი ადამ ზაქარია გაიცნო, რომლის მიმართაც პროფესიული ინტერესი, როგორც ანთროპოლოგიის მიმართულების სტუდენტს, გაუჩნდა. „აღმოჩნდა, რომ ადამი მუსლიმი იყო, ჰყავდა ჩინელი ბებია და მის იდენტობაში ერთმანეთს ერწყმოდა ისლამი, ჩინური კულტურა და ავსტრონეზიული ფესვები. ეს მულტიკულტურული სინთეზი ჩემთვის აღმაფრთოვანებელი იყო“, – იხსენებს ლუკა.

სწორედ ადამი გახდა ფილმის მთავარი გმირი. გადაღებები თავდაპირველად ლუკას საცხოვრებელ სახლში დაიწყო, ღამის სცენებისთვის კი გადასაღებ მოედნად ვენეციის ისტორიული ქუჩები იქცა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფილმი სრულად მობილური ტელეფონით არის გადაღებული.

სიუჟეტი ახალგაზრდა მალაიზიელ მუსიკოსზე მოგვითხრობს, რომელიც ვენეციაში ბებიის ანდერძის შესასრულებლად ჩადის – მან გარდაცვლილის ფერფლი მისი საყვარელი კომპოზიტორის იგორ სტრავინსკის საფლავზე უნდა მიიტანოს. თუმცა, როდესაც ფერფლს მოპარავენ, ადამი უცხო ქალაქში ეჭვებსა და გაურკვევლობაში მარტო რჩება.

ლუკა ფადიურაშვილის თქმით, ნამუშევარი დეტერმინიზმის პრობლემატიკას ეხმიანება: „ფილმში დასმულია ფილოსოფიური კითხვა: რამდენად განსაზღვრულია ადამიანის ქმედებები? მოვლენები ღვთიური ნებაა თუ თავად ადამიანი ქმნის საკუთარ ბედს? გარდა იმისა, რომ მთავარი პერსონაჟი დაკარგულ ფერფლს ეძებს, ის შინაგან მოგზაურობასაც გადის და პასუხებს სამყაროსგან ელის“.

ფილმის ჩვენება უკვე გაიმართა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალსა და ქუთაისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე. „ჩვენების შემდეგ კითხვა-პასუხის რეჟიმი ძალიან სასიამოვნო იყო. მე და ფილმის მემონტაჟემ, ლევან ჭყონიამ, ბევრი ვიმუშავეთ, რათა მაყურებელს საფიქრალი დარჩენოდა. როდესაც აუდიტორიისგან ისეთ მოსაზრებებს ისმენ, როგორიც თავად ნაფიქრიც არ გქონდა, ეს რეჟისორისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯილდოა“, – აღნიშნავს ავტორი.

ლუკას სამომავლო გეგმები საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე ფილმის გატანას უკავშირდება. რეჟისორს სურს, ნამუშევარი იტალიელმა და მალაიზიელმა მაყურებელმაც ნახოს, რადგან ფილმის მთავარი ღირსება სწორედ მულტიკულტურული ელემენტების თანაარსებობაა.

ამირან ცინცაძე: „ჩემთვის თსუ არის ინტელექტუალური კაპიტალით სავსე ადგილი“

შურთხია ბეროშვილი

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ბაკალავრიატის მეოთხე კურსის სტუდენტი ამირან ცინცაძეგაცვლითი პროგრამის ფარგლებში ლატვიაში, ვიძემეს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში იმყოფებოდა და საქართველოში დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა.

„საზღვარგარეთ გატარებული სემესტრი გარდამტეხი იყო ჩემს ცხოვრებაში. პირველ რიგში, გავხდი უფრო დამოუკიდებელი, პასუხისმგებლიანი და მიმღები განსხვავებული აზრისადმი. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ურთიერთობა მქონდა სხვადასხვაგვარი ხედვისა და მისწრაფებების მქონე სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან. სწავლების მეთოდები ვიძემეს უნივერსიტეტში ბევრად უფრო განსხვავებული აღმოჩნდა, ვიდრე ამას ველოდი. ჩემი აზრით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა ბევრად უფრო შრომატევადია, ვიდრე ეს ვიძემეს უნივერსიტეტში იყო. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება თავის თავში მოიცავს დიდი თეორიული მასალის ათვისებას. სწორედ ამიტომ, სტუდენტებს გვიწევს სხვადასხვა მოაზროვნეებისა თუ პოლიტიკოსების თეორიების, დოქტრინების, მოსაზრებების შესწავლა, ასევე, ისტორიული ფაქტებისა, რაც საჭიროა იმისთვის, რომ პარალელები გავავლოთ დღევანდელობასთან და არგუმენტირებულად ავხსნათ ესა თუ ის მოვლენა. იმ უნივერსიტეტში კი, სადაც ერთი სემესტრი გავატარე, ლექტორები მეტ ყურადღებას ამახვილებენ პრაქტიკულ და არაფორმალური სწავლების მეთოდებზე, ცდილობენ ნაკლებად დატვირთონ სტუდენტები საკითხავი მასალებით და სწავლების პროცესში ხშირად იყენებენ ვიდეო მასალებს თუ აუდიო ჩანაწერებს, სადაც ესა თუ ის საკითხი უფრო მარტივი და გასაგები ენითაა ახსნილი. ასევე, სხვადასხვა კურსის ფარგლებში ხშირი იყო ექსკურსიები ისტორიული ძეგლების, ადგილების მოსანახულებლად, რაც, ჩემი აზრით, სწავლის პროცესს უფრო ნაყოფიერს და საინტერესოს ხდის. ვთვლი, რომ მსგავსი პრაქტიკის დანერგვა თსუ-შიც შედეგის მომტანი იქნება, განსაკუთრებით ისეთ ფაკულტეტებსა და მიმართულებებზე, რომელთაც აქტიური გადაკვეთა აქვთ საქართველოს ისტორიასთან“, – გვიყვება ამირანი.

ლატვიაში გატარებულმა ხუთმა თვემ ამირანს დაანახა, რომ ყველა კულტურასა და ეროვნებას გააჩნია თავისი უნიკალური თავისებურება, რაც დასაფასებელია. „უწყვეტი კავშირი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან საშუალებას გაძლევს, რომ გაითავისო მათი დადებითი მახასიათებლები, რაც გეხმარება უკეთეს პიროვნებად და პროფესიონალად ჩამოყალიბებაში. ვთვლი, რომ გავხდი მეტად კომუნიკაბელური, გავიუმჯობესე დებატების უნარები, რადგან სხვადასხვა კურსის განმავლობაში სტუდენტებს შორის აქტიურად მიმდინარეობდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რაც კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და დისკუსიის შესაძლებლობების გაუმჯობესებაში დამეხმარა“, – ამბობს ამირანი.

ამირან ცინცაძე მეტად ემადლიერება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მას განსაკუთრებულ მისიასაც აკისრებს. იგი თვლის, რომ თსუ სტუდენტებს საკუთარი თავის უკეთესობისკენ გარდაქმნაში ეხმარება. „თსუ-ში სწავლამ, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, მომცა უნივერსალური განათლება – უნივერსიტეტის მთავარი დანიშნულებაც ხომ სწორედ ეს არის. აქ მიღებული განათლებისა და გამოცდილების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ვყოფილიყავი კონკურენტუნარიანი სტუდენტი თუნდაც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. თსუ-ში სწავლამ, ასევე, შესაძლებლობა მომცა უშუალო კავშირი მქონოდა ისეთ პროფესიონალ ლექტორებთან, რომლებიც, პარალელურად, დარგის სპეციალისტები არიან არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ევროპის მასშტაბით. ჩემთვის ეს არის ინტელექტუალური კაპიტალით სავსე ადგილი, სადაც რაც უფრო მეტს იშრომებ, მით უფრო წარმატებულ პროფესიონალად ყალიბდები. აქ სწავლამ გამიღრმავა პატრიოტიზმის გრძნობაც, რადგან ეს უნივერსიტეტი დაარსებულია ქართული სახელმწიფოს მამების მიერ (ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, გრიგოლ წერეთელი, კორნელი კეკელიძე და ა.შ.), რაც, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობა და, მეორე მხრივ, უდიდესი პატივია“, – ამბობს ამირანი.

სტუდენტს უკვე საკუთარი „წარმატების ისტორიაც“ აქვს, თუმცა თავის თავზე საუბარი უჭირს. „ამაზე საუბარი ჯერ ადრეა, მაგრამ ჩემი წარმატების ისტორია (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ) მაინც პერსონალურ ზრდაზე და საკუთარი თავის რწმენაზეა დაფუძნებული. როდესაც თსუ-ში მოვხვდი, ნაკლებად თავდაჯერებული ვიყავი და არ ვიცოდი – რა მელოდა, თუმცა აქ არსებულმა კონკურენტულმა გარემომ უკეთესობისკენ მიბიძგა. ყოველი გამოცდა, ყოველი პროექტი, კონფერენცია თუ დაწერილი სტატია იყო ნაბიჯი ჩემი განვითარებისკენ. „ერასმუს +“-ის პროგრამის კონკურსში გამარჯვება კი იყო დადასტურება იმისა, რომ მუდმივი შრომა საკუთარ თავთან აუცილებელია. იმედი მაქვს, რომ მთავარი წარმატებები ჯერ კიდევ წინ მაქვს და როცა ვსაუბრობ ჩემს თავზე, ვგულისხმობ სხვა ჩემს თანატოლებსა და მთლიანად ქართულ სახელმწიფოს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თაობა შეძლებს იმის ასრულებას, რაც მანამდე მიუწვდომელი ჩანდა ყველა თაობისთვის და, რაც ყველაზე მთავარია, მსურს, რომ ამ პროცესში ჩემი წვლილი მეც შევიტანო“, – აღნიშნავს ამირანი.

სალომე ანდრიაშვილი: „ლატვიაში სწავლება უფრო მეტად პრაქტიკულ ფორმატზე იყო ორიენტირებული“

თამარ დადიანი

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი სალომე ანდრიაშვილი იმ ახალგაზრდებს შორისაა, ვისთვისაც აკადემიური წარმატება მხოლოდ შეფასებებით არ განისაზღვრება. თბილისის 175-ე საჯარო სკოლის ოქროს მედალოსანი, თსუ-ში 100%-იანი გრანტით ჩარიცხული და არაერთგზის სტიპენდიატი სალომე ანდრიაშვილი საკუთარი გამოცდილებით ადასტურებს, რომ მიზნისკენ სვლა ხშირად შიშის დაძლევით იწყება. სწორედ ეს გზა გაიარა მან, როდესაც გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღო და ერთი სემესტრი ლატვიის უნივერსიტეტში გაატარა.

ლატვიაში ჩასვლა ახალი ეტაპის დასაწყისი იყო – ეტაპის, რომელიც მხოლოდ აკადემიურ გამოწვევებს არ გულისხმობდა. „ძიდიხარ სრულიად უცხო ადგილას, სადაც თავიდან ყველაფერი ახალია და დრო გჭირდება შესაგუებლად“, – ამბობს სალომე. ინდივიდუალურ გამოცდილებას მალევე დაემატა მრავალკულტურული გარემო – სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტები, განსხვავებული ენები და კულტურები ერთ სივრცეში იყრიდა თავს. „ბევრს საქართველოს შესახებ საერთოდ არ ჰქონდა ინფორმაცია, ან ძალიან მწირი ცოდნა ჰქონდათ. ასეთ დროს ხვდები,

რომ იმ წუთას შენ ხარ მთავარი წყარო, რომელიც ამ ქვეყანაზე წარმოდგენას ქმნის“, – ამბობს სალომე.

საერთაშორისო სტუდენტების შეხვედრები მისთვის ერთგვარ კულტურულ დიალოგად იქცა. „ცდილობ, მაქსიმალურად კარგი შთაბეჭდილება მოახდინო, რადგან აცნობიერებ, რომ შენი სიტყვები და ქცევა, გარკვეულწილად, ქვეყნის იმიჯსაც უკავშირდება“, – აღნიშნავს ის. ასეთ მომენტებში სალომე არა მხოლოდ საკუთარ გამოცდილებაზე, არამედ ქართულ კულტურაზე, ისტორიაზე, ტრადიციებსა და თანამედროვე რეალობაზეც საუბრობდა. მისი თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სტერეოტიპების რღვევა და იმ მრავალფეროვნების წარმოჩენა, რომელიც საქართველოს ახასიათებს. „მინდოდა ცოდნოდათ, რომ საქართველო მხოლოდ გეოგრაფიული წერტილი არ არის რუკაზე – ეს არის კულტურა, სტუმართმოყვარეობა, მრავალსაუკუნოვანი ისტორია და სწრაფად განვითარებადი საზოგადოება. როცა ინტერესით გისმენენ და შემდეგ გეუბნებიან, რომ შენი ქვეყნის მონახულება უნდათ, ეს განსაკუთრებული შეგრძნებაა“, – იხსენებს ის. მისი თქმით, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა არა მხოლოდ აკადემიური და პიროვნული განვითარების, არამედ კულტურული თვითგაცნობიერების გამოცდილებაცაა.

რაც შეეხება უშუალოდ სასწავლო პროცესს, აქ განსხვავებები განსაკუთრებით თვალსაჩინო აღმოჩნდა. თუ თსუ-ში თეორიულ ცოდნას დიდი ყურადღება ექცევა, ლატვიაში სწავლება უფრო მეტად პრაქტიკულ ფორმატზე იყო ორიენტირებული. „საკითხავი მასალა, ფაქტობრივად, მეოთხედი იყო იმასთან შედარებით, რასაც აქ ვკითხულობ“, – ამბობს სალომე. ერთ-ერთ საგანს – განათლების გარემოს – ყოველკვირეული ვიზიტები ახლდა სხვადასხვა ლატვიურ სკოლაში. „ვაკვირდებოდით სასწავლო გარემოს და ჩვენს რეფლექსიებს ლექტორს ვუგზავნიდით. რამდენიმეკვირიანი გასვლითი ვიზიტები ჩემთვის გაცილებით ბევრის მომცემი იყო, ვიდრე მხოლოდ თეორიული საკითხების განხილვა“.

ამ განსხვავებას თან ერთვოდა სწავლების სტილიც. „ლექტორები მაქსიმალურად ცდილობდნენ – შეექმნათ გარემო, სადაც კითხვის დასმა და შეცდომის დაშვება სტუდენტისთვის „მტკივნეული“ არ იქნებოდა. ჩვენს შეცდომებს ცოდნის ნაკლებობად კი არა, განვითარების შესაძლებლობად აღიქვამდნენ“, – ამბობს ის. მისი ინფორმაციით, შეფასების სისტემაც განსხვავებული იყო – არ არსებობდა შუალედური გამოცდები, ზოგ საგანში არც ფინალური; შეფასება შესრულებული პრაქტიკული დავალებებით და 10-ბალიანი სისტემით ხდებოდა.

ამ განსხვავებების აღნიშვნის პარალელურად სალომე ხაზს უსვამს იმ საფუძველს, რომელიც მას თსუ-მ მისცა. „საკმარისი თეორიული ცოდნა რომ არ მქონოდა, ვფიქრობ, უფრო ზედაპირულად შევასრულებდი იქ მოცემულ აქტივობებს“, – ამბობს ის.

როდესაც საუბარი ისევ საკუთარ უნივერსიტეტზეა, სალომე განსაკუთრებული მადლიერებით იხსენებს იმ გარემოს, რომელმაც მისი პროფესიული და პიროვნული ჩამოყალიბება უზრუნველყო: „ჩემს ფაკულტეტს არაერთი პროფესიონალი ჰყავს – ლექტორები, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები. როცა მათთან თითქმის მთელ კვირას ატარებ რამდენიმე წლის განმავლობაში, ეს ურთიერთობები ძალიან ძვირფასი ხდება“.

მარიამ ჯინჭარაძემ წიგნის ახალი თავი „გადაფურცლა“

თამარ დადიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტი მარიამ ჯინჭარაძე სწორედ იმ სტუდენტთა შორისაა, რომელმაც საკუთარი აკადემიური მონდომებითა და პიროვნული სიმტკიცით საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ღირსეულად წარადგინა უნივერსიტეტი. მაღალი აკადემიური მოსწრება, გამორჩეული სამოტივაციო წერილი და წარმატებით გავლილი ინტერვიუ გახდა საფუძველი იმისა, რომ მან გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მოიპოვა და სწავლა პოლონეთში, ვარშავის უნივერსიტეტში გააგრძელა.

უცხო ქვეყანაში სწავლა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროცესი არამშობლიურ ენაზე მიმდინარეობს, სერიოზულ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. მარიამი ამ გამოცდილებას გარდამტეხ ეტაპად აფასებს: „ისწავლო უცხო ქვეყანაში არამშობლიურ ენაზე საკმაოდ დიდი გამოწვევაა, მით უმეტეს მაშინ, როცა განათლების სისტემა აქ სხვანაირადაა მოწყობილი. უზომოდ ბევრი უნდა ეცადო, რომ საკუთარი თავის ბოლომდე წარმოჩენა შეძლო და ეს პროცესი საკმაოდ რთული და სტრესულია“. მისი თქმით, სწორედ ამ სირთულეებმა ჩამოაყალიბა უფრო დამოუკიდებელ და თავდაჯერებულ პიროვნებად: „აქ სწავლამ ბევრად უფრო დამოუკიდებელი გამხადა და ბევრ საკითხზე პერსპექტივა შემიცვალა. ჩემი თავი ვაქციე საყრდენად და ვისწავლე, რომ ცხოვრებაში არსებულ სირთულეებს თვალი უნდა გაუსწორო და ყველა პრობლემა შენით უნდა გადაჭრა“. ამ გამოცდილებას იგი, სიმბოლურად, „წიგნის ახალ თავად“ მოიხსენიებს, რომლის გადაფურცვლაც აუცილებელი იყო პიროვნული ზრდისთვის.

მარიამის შეფასებით, მიღწეული წარმატების საფუძველი სწორედ თსუ-ში მიღებული განათლებაა, რომელიც მის აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას უკავშირდება. „თსუ-ში სწავლამ მომცა ის შესაძლებლობა, რომ დღეს იქ ვყოფილიყავი, სადაც ვარ; ის მესწავლა, რაც ვისწავლე; ის გამევლო, რაც გავიარე“, – აღნიშნავს მარიამი. მისი სიტყვებიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტმა არა მხოლოდ ცოდნა შესძინა, არამედ შექმნა გარემო, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენა და ძლიერი ადამიანური კავშირების დამყარება. თსუ-მ მას, ასევე, ის საფუძველი მისცა, რომლის წყალობითაც შეძლო წასვლა და გამოცდილების მიღება უცხო ქვეყანაში: „თსუ-მ მომცა ის ცოდნა, რომლის საფუძველზეც მოვახერხე წასვლა და ამ გამოცდილების მიღება“.

საერთაშორისო აკადემიურ გარემოში მიღწეულ წარმატებებს შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს კვლევითი პროექტი, რომელიც მარიამმა ვარშავაში სწავლის პერიოდში განახორციელა. „ვარშავის უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება ექსპერიმენტის სრულფასოვნად ჩატარება იყო“, – ამბობს იგი. ერთ-ერთი საგნის ფარგლებში მას უცხო ადამიანებზე ექსპერიმენტის ჩატარება და კვლევითი ნაშრომის მომზადება დაევალა. „ეს ჩემთვის ყველაზე დიდი აკადემიური გამოწვევა აღმოჩნდა, ვინაიდან აქამდე არასდროს მქონია მსგავსი გამოცდილება. ჯგუფში მარტო აღმოვჩნდი, ამიტომ დახმარება

მარიამ ჯინჭარაძის ისტორია ნათლად აჩვენებს, რომ საერთაშორისო წარმატების საწინდარი საკუთარ უნივერსიტეტში მიღებული გამოცდილებაა

ლექტორსა და გამოცდილ კოლეგებს ვთხოვე“.

კვლევის პროცესში განსაკუთრებულ სირთულეს მონაწილეთა მოძიება წარმოადგენდა. „ბევრ ადამიანს არ ვიცნობდი, რათა მათთვის ექსპერიმენტში მონაწილეობა მეთხოვა. მათი მოძებნა საკმაოდ რთული აღმოჩნდა, მაგრამ ეს ყველაფერი შევძელი. ჩემმა ახლად შეძენილმა მეგობრებმა ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს, ვინაიდან თავიანთ ნაცნობებს თხოვეს ჩემი დახმარება. იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომელთაც საერთოდ არ ვიცნობდი, თუმცა მონაწილეობის სურვილი თავად გამოთქვეს“. საბოლოოდ, მისი თქმით, ყველა ეტაპმა წარმატებით ჩაიარა – გამოცდილებამ კი კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ პროფესიული ზრდა ხშირად კომფორტის ზონის დატოვებას უკავშირდება.

ვარშავის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მოდელს მარიამი განსაკუთრებულად აფასებს პრაქტიკაზე ორიენტირებულობის გამო. მისი დაკვირვებით, აქ მიღებული ცოდნა მუდმივად რეალურ გარემოში გამოიყენება: „ვარშავის უნივერსიტეტი უფრო მეტად ორიენტირებულია ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე და ლექტორები მუდმივად ცდილობენ, რომ ამ ცოდნის რეალიზების საშუალება მოგცენ“. ამასთან, იგი ხაზს უსვამს აკადემიური მოთხოვნების სიმკაცრესა და კრიტიკულ მიდგომას: „ისინი ძალიან კრიტიკულად უყურებენ ყველაფერს და მუდმივად ცდილობენ, კარგი აკადემიური მოსწრების მიუხედავად, დაგიტოვონ განვითარების საშუალება. ჩემი აზრით, ამის მიზანი სტუდენტის მოტივაციის გაღვივებაა, რათა შედეგით არასდროს დაკმაყოფილდეს და მუდმივად ეძიოს რაღაც ახალი და მნიშვნელოვანი“.

მარიამ ჯინჭარაძის ისტორია ნათლად აჩვენებს, რომ საერთაშორისო წარმატების საწინდარი საკუთარ უნივერსიტეტში მიღებული გამოცდილებაა. აკადემიური მონდომება, პიროვნული სიმტკიცე და ახალი შესაძლებლობებისადმი ღიაობა ქმნის იმ გზას, რომელიც სტუდენტს არა მხოლოდ პროფესიულ, არამედ ცხოვრებისეულ სიმწიფემდეც მიჰყავს.

თსუ-ს დაარსებიდან 108-ე წლისთავზე გამართული სტუდენტური კონფერენცია

ნინო ჩარკვიანი

> ნინო პოპიაშვილი: ჩვენი მიზანია, სტუდენტებს გამოვუმუშაოთ ეთიკური სტანდარტები ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში, რათა თანამედროვე ტექნოლოგიები კვლევისას დამხმარე და არა ჩამანაცვლებელ ინსტრუმენტად გამოიყენონ

თსუ-ს დაარსებიდან 108-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში სტუდენტებსაც მიეცათ თავიანთი კვლევებისა და მოხსენებების წარმოდგენის შესაძლებლობა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით უკვე ტრადიციული სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა სახელწოდებით – „თსუ – 108“, რომელშიც მონაწილეობა 250-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო.

ღონისძიების გახსნაზე იმყოფებოდა თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, რომელიც სტუდენტებს მიესალმა და წარმატებები უსურვა. „სტუდენტობიდან იწყება ის გზა, რომელიც დიდი მეცნიერებისკენ მიდის. სწორედ ასეთი ღონისძიებები არის ის ფუნდამენტი, საიდანაც უნდა გაიზარდოს დიდი მეცნიერი, ცნობილი მკვლევარი. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით ყველანი, რომ თსუ მართლაც საოცარ თაობებს ზრდის“, – განაცხადა რექტორმა.

ახალგაზრდა მომხსენებლებს ასევე სიტყვით მიმართა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ: „ძალიან გვახარებს, რომ თითოეულ თქვენგანს აქვს სურვილი, იცოდეს იმაზე მეტი, ვიდრე ეს შეიძლება ჩვეულებრივ სალექციო-სასემინარო მუშაობის დროს გაიგოს სტუდენტმა. ყველაფერი სწორედ კითხვის დასმით იწყება. როცა კითხვას სვამ, იწყებ პასუხის ძიებას და ამ ძიებაში იბადება ის, რასაც ჩვენ სამეცნიერო კვლევას ვეძახით. გისურვებთ, რომ ძიების სურვილი თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი იყოს“.

წლევანდელი კონფერენცია გამორჩეული იყო იმით, რომ, თსუ-ს სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტების გარდა, მასში მონაწილეობდნენ გორისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების, ეროვნული თავდაცვის აკადემიის და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები. ორი დღის განმავლობაში 16 პარალელური სექცია მუშაობდა და საკითხთა სპექტრი მრავალფეროვანი იყო: ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა, ანთროპოლოგია, ფილოლოგია, ფილოსოფია და ხელოვნებათმცოდნეობა.

როგორც კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა უნივერსიტეტის ისტორიის სექციას. „წელს 30-მდე მოხსენება მიეძღვნა უნივერსიტეტის დამფუძნებლებს, მისი დაარსების ისტორიასა და საბჭოთა იდეოლოგიური ზეგავლენის პერიოდში უნივერსიტეტის არსებობის საკითხებს. მთელი კონფერენციის განმავლობაში კი სულ 180-მდე მოხსენება მოვისმინეთ“, – გვითხრა პროფესორმა. ნინო პოპიაშვილმა, რომელიც ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კონფერენციებს, ყურადღება თანამედროვე გამოწვევებზეც გაამახვილა: „ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია – ხელი შევუწყოთ სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო ცხოვრებაში. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია, სტუდენტებს გამოვუმუშაოთ ეთიკური სტანდარტები ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში, რათა თანამედროვე ტექნოლოგიები კვლევისას დამხმარე და არა ჩამანაცვლებელ ინსტრუმენტად გამოიყენონ“.

კონფერენციის ფარგლებში დაჯილდოვდნენ სტუდენტი-მოხალისეები, რომლებიც საორგანიზაციო საკითხებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი. რაც შეეხება სამეცნიერო შედეგებს, საუკეთესო მოხსენებები, აკადემიური ხელმძღვანელების რეკომენდაციითა და რეცენზირების შემდეგ, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალში – „სტუდენტური წელიწდეული“ გამოქვეყნდება.

თსუ-ს დაარსებიდან 108-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სტუდენტებმა მოხსენებები წარადგინეს შემდეგ თემებზე: „თსუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანაში“ (ნათია შუკაკიძე, ლიკა შუბითიძე), „ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა საბჭოთა რეჟიმის პირობებში“ (გიორგი გუგეშაშვილი), „თსუ-ს აკადემიური თავისუფლების საზღვრები საბჭოთა კონტროლის პირობებში: 1934 და 1953 წლების საარქივო დოკუმენტაციის საფუძველზე“ (სალომე ქავთარაძე, მარიამ ჯეირანაშვილი), „პირველი სტუდენტური ჟურნალი „მომავალი“ (1920-1921)“ (თინათინ პორტნაია), „მედეა ღამბაშიძის მოღვაწეობის ისტორიიდან“ (ნაია ხაჩიშვილი, ოთარ სამუშია), „1978 წლის დემონსტრაციები საქართველოში – თბილისი, ბათუმი, სოხუმი“ (კახი ახვლედიანი), „ეკლესიის როლი პოლიტიკური პროცესების ფორმირებაში შუა საუკუნეების საქართველოში“ (მარიამ მიქავა, ლიზი ქავთარაძე), „ერეკლე II-ის ევროპული პოლიტიკური ხედვა და ურთიერთობის მცდელობები ევროპის სახელმწიფოებთან“ (ქეთი შოშიაშვილი) და სხვ.

როგორ გაუკაფა თსუ-მ ეკა წილოსანს მომავლის გზა

შურთხია ბეროშვილი

თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტი ეკა წილოსანი თვლის, რომ ადამიანის ცხოვრებაში სტუდენტობა გარდამტეხი ეტაპია, რადგან იგი მოითხოვს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას, შრომასა და პასუხისმგებლობას.

„თსუ-ში სწავლის პროცესში უფრო მიზანდასახული გავხდი და ჩამომიყალიბდა მკაფიო ხედვა ჩემი სამომავლო გეგმების შესახებ. გამართული სასწავლო პროგრამა და აკადემიური გარემო გახდა გარანტი ჩემი პროფესიონალური განვითარების პროცესში – ყოველი ლექცია ჩემთვის ახალი ცოდნისა და მიმართულების აღმოჩენის შესაძლებლობა იყო. კომპიუტერული მეცნიერება მრავალმხრივი სფეროა და განსაკუთრებით ვაფასებ იმ ფაქტს, რომ ლექტორები ცდილობენ სტუდენტებს მისცენ ფართო და რეალისტური წარმოდგენა სხვადასხვა მიმართულებაზე. მნიშვნელოვანი მოტივაცია იყო ისიც, რომ ჩემი შრომა დაფასდა და გავხდი სახელმწიფო სტიპენდიატი. ამასთან ერთად, გავიაზრე, რომ თსუ-ს სტუდენტობა მხოლოდ პრივილეგია კი არ არის, არამედ დიდი პასუხისმგებლობაცაა, რადგან თსუ-ს მიღმა დიდი ისტორიაა. ყოველთვის ვამაყობდი იმით, რომ ვარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, რადგან თსუ რეალურ შესაძლებლობას გაძლევს განვითარდე და გახდე წარმატებული პროფესიონალი“, – ამბობს ეკა.

როგორც ყველა წარმატებულ სტუდენტს, ეკასაც ჰქონდა სურვილი გაცვლით პროგრამაში ჩართულიყო. მან იცოდა, რომ მიზნის მისაღწევად მაღალი აკადემიური მოსწრება უნდა ჰქონოდა ყველა სემესტრში, ამიტომ თავს არ ზოგავდა, რომ კარგად ესწავლა. ბოლოს მან საწადელს მიაღწია. ეკა პოლონეთში, ქალაქ პოზნანში, ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში მოხვდა, როგორც ხელოვნური ინტელექტისა და კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

„მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ში ვსწავლობ ინგლისურენოვან პროგრამაზე და ყოველდღიურად მიწევს მულტიკულტურულ გარემოში ყოფნა, საზღვარგარეთ სწავლამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩემი მსოფლმხედველობა. გავიცანი სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები და ლექტორები, მათ შორის ისეთი პროფესიონალები, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით კომპიუტერული მეცნიერებისა და ტექნოლოგიური სფეროს განვითარებაში.

მქონდა შესაძლებლობა, უცხოელი მეგობრებისთვის გამეზიარებინა ცოდნა ქართული კულტურისა და ტრადიციების თაობაზე, ამავდროულად, მესწავლა სხვა კულტურების შესახებ. ყოველდღიურმა ცხოვრებამ უცხოენოვან გარემოში მასწავლა ადაპტაცია, დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო დამოუკიდებლად ცხოვრება და იმის სწავლა, თუ როგორ გავუმკლავდე აკადემიურ პროცესთან ერთად ყოველდღიურ გამოწვევებს. ეს ერთი სემესტრი სავსე იყო სიახლეებითა და სირთულეებით, რომლებმაც დამანახა, რომ გაცვლითმა პროგრამამ არა მხოლოდ ჩემს განათლებასა და პროფესიულ განვითარებაზე იმოქმედა, არამედ პიროვნულადაც გამაძლიერა და მეტად თავდაჯერებული გამხადა“, – ამბობს ეკა წილოსანი საკუთარი შთაბეჭდილებების გაზიარებისას.

როგორც ეკა აღნიშნავს, პოზნანის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში იყო ბევრი უცხოელი ლექტორი, რომლებიც მსოფლიოში წამყვან ტექნოლოგიურ კომპანიებში მუშაობენ. მათგან მიღებული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მისთვის განსაკუთრებით ღირებულია. „ლექტორები აქტიურად ინტერესდებიან უცხოელი სტუდენტებით და ხშირად თავადაც ავლებდნენ პარალელებს უნივერსიტეტებს შორის. როდესაც მათ ჩემი უნივერსიტეტი გავაცანი, არაერთხელ გამოთქვეს აღფრთოვანება თსუ-ს ისტორიით, მიღწევებითა და აკადემიური შედეგებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩემი მიმღები უნივერსიტეტი თსუ-ს დაარსებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეიქმნა, რაც კიდევ უფრო საინტერესო საფუძველს ქმნის შედარებისთვის. როგორც სტუდენტმა, რომელმაც განათლება ორივე უნივერსიტეტში მიიღო, შემიძლია ვთქვა, რომ თსუ გაძლევს ძლიერ და მყარ საფუძველს, რომელიც საშუალებას გაძლევს მსოფლიოს ნებისმიერ უნივერსიტეტში გააგრძელო სწავლა თავდაჯერებულად და წარმატებით“, – ამბობს ეკა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ემადლიერება მომავლის გზის გაკაფვაში.